

შპს „ენერგო ინვესტი“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 31-დეკ-2022 31-დეკ-2021			
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	14,390,879	15,117,032
არამატერიალური აქტივები		656	743
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,391,535	15,117,775
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი ავანსები	7	8,981	5,631
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	72,532	75,909
ფული და ფულის ექვივალენტები	6	473,912	371,441
სხვა აქტივები		-	-
სულ მიმდინარე აქტივები		555,425	452,982
სულ აქტივები		14,946,959	15,570,757
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელთა კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	9	12,418,643	12,418,643
დაგროვილი ზარალი	9	(2,088,559)	(3,033,806)
სულ კაპიტალი		10,330,084	9,384,837
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	4,160,325	5,338,457
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,160,325	5,338,457
მიმდინარე ვალდებულებები			
ძირითადი საშუალებების შემენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი სესხები	10	426,170	722,825
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,092	99,810
საგადასახადო ვალდებულებები		29,288	24,827
სულ მიმდინარე ვალდებულებები		456,550	847,463
სულ ვალდებულებები და მფლობელთა კაპიტალი		14,946,959	15,570,757

ხელმოწერი პირი:

დირექტორი



20 აპრილი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ენერგო ინვესტი“

ინდივიდუალური სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022	2021
შემოსავალი	12	1,677,983	2,002,758
თვითღირებულება		(19,268)	(132,311)
საერთო მოგება		1,658,715	1,870,447
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13; 14	(1,412,778)	(1,435,196)
ფინანსური ხარჯი	15	(336,743)	(428,192)
სხვა შემოსავალი		101,719	8,220
სხვა ხარჯები	16	(75,979)	(273,928)
(ზარალი)/მოგება საკუთროს სხვაობიდან	17	1,010,619	1,504,979
(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		945,553	1,246,331
მოგების გადასახადის ხარჯი		(305)	(2,560)
(ზარალი) დაბეგვრამდე		945,247	1,243,770

ხელმომწერი პირი:

დირექტორი



20 აპრილი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.


შპს „ენერგო ინვესტი“

ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მფლობელთა კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,652,033	(2,081,111)	11,570,922
პერიოდის შედეგი	-	(2,196,466)	(2,196,466)
კაპიტალის ზრდა	(1,233,390)	-	(1,233,390)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,418,643	(4,277,577)	8,141,066
პერიოდის შედეგი	-	1,243,770	1,243,770
კაპიტალის ზრდა	-	-	-
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,418,643	(3,033,807)	9,384,836
პერიოდის შედეგი	-	945,247	945,247
კაპიტალის ზრდა	-	-	-
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,418,643	(2,088,559)	10,330,084

ხელმოწერი პირი:

დირექტორი




20 აპრილი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ენერგო ინვესტი“

ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერი

	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	945,553	1,246,331
ცვეთა და ამორტიზაცია	722,033	719,687
წმინდა მოგება/ზარალი ფულადი სახსრების გადაფასებიდან	1,010,619	1,504,979
მოგების გადასახადის ხარჯი	(305)	(2,560)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	3,377	18,780
მიღებული ავანსების (ზრდა)/შემცირება	-	(430,605)
საგადასახადო ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	4,461	(3,005)
გაცემული ავანსების ზრდა/(შემცირება)	(3,350)	12,162
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	(98,762)	(692,743)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,583,626	2,373,026
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/გაყიდვა	(4,120)	(1,861)
არამატერიალური აქტივების შეძენა/გაყიდვა	87	81
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,207)	(1,781)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	(1,478,649)	(14,039)
გადახდილი სესხები	(4,000,053)	(2,320,861)
კაპიტალის ზრდა	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(2,521,404)	(2,334,900)
ფულადი სახსრების გადაფასების ეფექტი	36,042	14,380
წმინდა ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში	102,471	50,725
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	371,441	320,717
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასასრულში	473,912	371,441

ხელმოწერი პირი:

დირექტორი



20 პრილი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ენერგო ინვესტი“ ს/ნ 404455898 („კომპანია“) დაარსდა 2013 წლის 24 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, გამზირი ქეთევან წამებული/ზოჭორმის ქ., N18, ბინა N125.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის დავით ხახუტაშვილი (პ.ნ.: 45001003133)

დირექტორი ზურაბ აგლაძე (პ.ნ.: 01030020616)

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და მათი ოპერირება.

კომპანიას გაფორმებული აქვს ელექტროენერგიის გარანტირებული შეძენის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას შეისყიდოს ჰესის მიერ წლის განმავლობაში სრულად გამომუშავებული ელექტრო ენერგიის 20% ზამთრის თვეებში, კერძოდ იანვარში, თებერვალში, მარტში, ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის

გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემაჯავლი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის

არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

სასარგებლო ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობები	30-40
მანქანა-დანადგარები	10-15
ოფისის აღჭურვილობა	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან აღიარდება შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება, საანგარიშგებო პერიოდისთვის გაწეული ხელშეკრულების ხარჯების მთლიანი შეფასებული ხელშეკრულების ხარჯებთან შეფარდების პროპორციულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევსებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოყენებული საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმატება, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

სამშენებლო კონტრაქტის შესრულების პროცენტის შეფასება

კომპანია აღიარებს შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტების შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდამდე კონტრაქტზე გაწეული ხარჯის, მთლიანი კონტრაქტის განსაზღვრული ხარჯის წილის შესაბამისად და როდესაც ანაზღაურების მიღება საიმედოდ უზრუნველყოფილია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩათვლის, რომ ოპერაცია ვერ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, შემოსავლის აღიარება გადაიდება პირობის შესრულებამდე.

შესრულების პროცენტის მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ა) შესაძლებელია მთლიანი კონტრაქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება; ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში; ც) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის მთლიანი დანახარჯის, ასევე კონტრაქტის დასრულების ეტაპის პერიოდის ბოლოს საიმედოდ შეფასება; დ) შესაძლებელია კონტრაქტის ხარჯის გარკვევით იდენტიფიცირება და კონტრაქტზე მიკუთვნება, ისე რომ შესაძლებელი იყოს რეალური კონტრაქტზე გაწეული ხარჯების შედარება წინა შეფასებებთან.

შემოსავლის აღიარება ელექტრო ენერგიის რეალიზაციიდან

შემოსავალი ელექტროენერგიის გაყიდვიდან აღიარდება მრიცხველების საშუალებით გაზომილი ელექტროენერგიის რაოდენობის მიწოდების შედეგად.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

2022 წლის 1 იანვრიდან, ძალაში შევიდა შემდგომი შესწორებები:

შემოსულობები დანიშნულებისამებრ მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3-ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

- ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ხარჯიდან, საწარმოს მიერ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებისას წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი ერთეულების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასებისას რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას, ხელმძღვანელობის მიერ განზრახული საოპერაციო წარმადობის დონის მიღწევამდე.
- ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.
- ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3-ის გამოყენებისას მითითება უნდა გააკეთოს ბასს 37-ს ან ფასს 21-ზე, ნაცვლად 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლების. ამ ახალ გამონაკლისამდე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.
- ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებები და საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის, ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

- ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას, რომ შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები.
- ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.
- მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანას.

აღნიშნული სტანდარტების ცვლილებას არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება საავალდებულოა 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და პირიქით, სესხი

კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესიო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამოწვევის გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც დაიწყო 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ბასს 1-ის შესწორებები ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირების შესახებ გამოიცა 2020 წლის იანვარში და მისი ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა 2022 წლის 1 იანვრამდე. COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების შედეგად კლასიფიკაციის ცვლილების დაწერვისთვის მეტი დრო ჰქონდეთ.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია, მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ნაცვლად. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2,

„არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევლები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ

დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის რვა სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან ჯგუფისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფის მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარისი ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; საწარმოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ საწარმოს არ მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	დაუმთავ რებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორ ტო საშუალება	სხვა	სულ
ღირებულება								
31.12.2019	11,544,051	196,873	3,487,539	36,109	29,726	40,180	1,670,575	17,005,053
შეძენა	7,435	35,495	1,331	1,053	4,021	-	5,648	54,982
ჩამოწერა	-	(30,081)	(1,695)	-	-	-	-	(31,776)
31.12.2020	11,551,486	202,287	3,487,176	37,162	33,747	40,180	1,676,223	17,028,260
შეძენა	-	53,899	2,842	70	3,761	18,500	85,854	164,926
ჩამოწერა	-	(152,972)	(10,377)	-	(237)	(40,180)	-	(203,766)
31.12.2021	11,551,486	103,214	3,479,642	37,232	37,271	18,501	1,762,077	16,989,420
შეძენა	-	22,175	-	311	1,456	-	866	24,807
ჩამოწერა	-	(28,059)	-	-	-	-	(956)	(29,015)
31.12.2022	11,551,486	97,330	3,479,642	37,543	38,726	18,501	1,761,987	16,985,213
ცვეთა								
31.12.2019	242,461	-	89,297	15,095	2,856	24,108	98,089	471,906
ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	387,360	-	148,936	7,473	4,761	8,036	164,931	721,496
31.12.2020	629,821	-	238,233	22,568	7,617	32,144	263,020	1,193,402
ჩამოწერა	-	-	(3,789)	-	-	(36,831)	-	(40,621)
ცვეთა	387,422	-	148,630	5,526	4,993	6,538	166,498	719,607
31.12.2021	1,017,243	-	383,074	28,094	12,610	1,850	429,517	1,872,389
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა	387,422	-	147,990	3,837	5,391	3,700	173,606	721,946
31.12.2022	1,404,666	-	531,063	31,931	18,001	5,550	603,123	2,594,335
31.12.2019	11,301,590	196,873	3,398,244	21,014	26,870	16,072	1,572,486	16,533,149
31.12.2020	10,921,665	202,287	3,248,944	14,594	26,130	8,036	1,413,203	15,834,858
31.12.2021	10,534,243	103,214	3,096,568	9,137	24,661	16,650	1,332,559	15,117,032
31.12.2022	10,146,820	97,330	2,948,578	5,611	20,725	12,950	1,158,863	14,390,878

სხვა ძირითადი საშუალებები მოიცავს იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის, ელექტრო გადაცემის ხაზებისა და სხვა ელექტრო მოწყობილობების თანხებს. კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილი (კერძოდ 2017 წელს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა“ და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემისაგან“ შესყიდული მიწის ნაკვეთები) გამოყენებულია სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფისათვის.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	198,453	44,639
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	275,459	326,803
ნაღდი ფული სალაროში	-	-
გარანტია	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	473,912	371,441

შპს „ენერგო ინვესტი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი

7. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	31-დეკ-22	31-დეკ-21
ავანსად გაცემული ხელფასები	-	38
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6,881	1,293
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	2,100	4,300
სულ გადახდილი ავანსები	8,981	5,631

კომპანიას ავანსების ძირითადი ნაწილი გადახდილი აქვს არარეზიდენტი კომპანიისთვის. არარეზიდენტი კომპანია გახლავთ შპს ენერგო ინვესტის ძირითადი მომწოდებელი. კომპანია მომწოდებლისგან ყიდულობს ტურბინა-გენერატორების მშენებლობისთვის.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-22	31-დეკ-21
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	72,532	75,909
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	72,532	75,909

საანგარიშგებო პერიოდში მოთხოვნების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს შპს „ფოვერ თრეიდინგ კომპანისთან“ არსებული მოთხოვნები მომსახურების რეალიზაციის შედეგად, აღნიშნული კომპანია მიმდინარე დავალიანებას ფარავს 2023 წლის განმავლობაში, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რაც შეეხება 2021 წელს, მოთხოვნების უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიმდინარე დებიტორული დავალიანება, რომელიც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სრულად დაიფარა 2022 წლის იანვარში.

9. მფლობელთა კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება ორი ნაწილისაგან: მფლობელთა კაპიტალის, რომელიც 2021 წლის მდგომარეობით შეადგენდა 12,418,643 ლარს, 2022 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში არ განხორციელებულა ცვლილებები, შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე კვლავ აისახება 12,418,643 ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალი.

კაპიტალის შემადგენელ მეორე ნაწილს წარმოადგენს გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი, რომელიც 2021 წლის მდგომარეობით შეადგენდა 3,033,806 ლარს, 2022 წლის განმავლობაში მას ქონდა კლების ტენდენცია და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენდა 2,088,559 ლარს. ასევე კომპანიამ მიიღო 945,247 ლარის ოდენობის მოგება, როგორც წლის შედეგი, რომელიც შესაბამისად არის ასახული კომპანიის ბალანსზე.

საბოლოო ჯამში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ჯამური კაპიტალი შეადგენს 10,330,084 ლარს. საანგარიშგებო პერიოდებში დივიდენდის გაცემა არ დაფიქსირებულა.

10. მიღებული სესხები

შპს ენერგო ინვესტი 2020 წლის განმავლობაში აიღო მოკლევადიანი სესხი სს თიბისი ბანკისგან, ხოლო იქამდე არსებული გრძელვადიანი სესხის (31.12.2019 წელს დადებული) ხელშეკრულება განახლდა და სესხის თანხას დაემატა 171 ათასი ევრო, ცხრილის სახით იხილეთ სესხის შესახებ ინფორმაცია:

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	თანხა ორიგინალ ვალუტაში	საპროცენტო განაკვეთი	მიღების თარიღი	დასრულების თარიღი
სს თიბისი ბანკი	ევრო	1,540,979	6.4 % (6.2%)	31.12.2019	05.08.2034
სს თიბისი ბანკი	ევრო	253,313	6.2 %	07.08.2020	07.08.2025

შპს ენერგო ინვესტი 2021 და 2022 წლების განმავლობაში დამატებით არ აუღია სესხი და არც მიმდინარე სესხების ხელშეკრულებები განახლებულა. ქვემოთ ცხრილის სახით იხილეთ კომპანიის მიერ აღებული სესხების შესახებ ინფორმაცია:

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	თანხა ორიგინალ ვალუტაში	საპროცენტო განაკვეთი	მიღების თარიღი	დასრულების თარიღი
სს თიბისი ბანკი	ევრო	1,540,979	6.4 % (6.2%)	31.12.2019	05.08.2034
სს თიბისი ბანკი	ევრო	253,313	6.2 %	07.08.2020	07.08.2025

მიღებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების საერთო ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6,061,282 ხოლო 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით 4,586,494 ლარს. აქედან 2021 წლის ბოლოს გრძელვადიანი სესხის ბალანსი 5,338,457 ლარი, ხოლო მოკლევადიანი სესხის ბალანსი 722,825 ლარი იყო, 2022 წლის ბოლოს კი გრძელვადიანი სესხის ბალანსი შეადგენდა 4,160,325 ხოლო მოკლევადიანი სესხის ბალანსი 426,170 ლარს. კომპანია ეტაპობრივად ფარავს სესხის ძირ თანხასა და პროცენტს.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულება	31-დეკ-22	31-დეკ-21
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	945	99,035
გადასახდელი ხელფასები	147	775
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,092	99,810

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა აღინიშნება.

12. შემოსავალი

შემოსავალი	2022	2021
შემოსავალი ელ. ენერგიის რეალიზაციიდან	1,641,045	1,810,724
უსასყიდლო მიწოდება	29,692	40,678
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7,246	151,356
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	101,719	8,220
სულ შემოსავალი	1,779,702	2,010,978

2019 წლის 01 ოქტომბრიდან დღემდე მემორანდუმის საფუძველზე, ელექტროენერგიის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ შემსყიდველს წარმოადგენს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“.

სახელშეკრულებო თვის დასრულების შემდგომ მომდევნო თვის 1-დან 5 რიცხვამდე კომპანიის დირექტორი ჰიდროელექტროსადგურზე დამონტაჟებული მრიცხველების ამონაწერის საფუძველზე აგზავნის სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში გამომუშავებული ელექტროენერგიის დამოწმებულ აქტს, რომელსაც თავის მხრივ ხელმოწერით და ბეჭდით ადასტურებს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა და სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი. ამის შემდეგ, დამოწმებული აქტი იგზავნება კონტრაქტორთან შედარებისთვის. შედარების აქტის შედგენის შემდგომ იგზავნება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა მყიდველთან. რეალიზებული ელექტრო ენერგიის საფასური განსაზღვრულია ხელშეკრულებით და შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის შემთხვევაში შეადგენს 4,5 აშშ ცენტს დღ-ს გარეშე ექვივალენტი ლარში თვის ბოლო რიცხვით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, ხოლო მემორანდუმის ფარგლებში სს ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი გაფორმებული ხელშეკრულებით 5,5 აშშ ცენტს დღ-ს გარეშე დაანგარიშებული თვის ბოლოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად ექვივალენტი ლარში. მყიდველის მიერ ფინანსური ვალდებულების შესრულების შემდგომ დგება ორმხრივი მიღება-ჩაბარების აქტი, რითაც კომპანიები ადასტურებენ რომ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

2022 წლის განმავლობაში მსხვილ კონტრაქტორებს ასევე წარმოადგენდნენ შპს „თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანია“ და შპს „ფოვერ ტრედიდინგ კომპანი“.

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2022	2021
ცვეთა და ამორტიზაცია	722,033	719,687
ხელფასის ხარჯი	369,325	348,844
საგადასახადო ხარჯი	149,812	154,695
შეკეთების ხარჯი	38,495	81,623
იჯარის ხარჯი	17,411	14,976
მივლინების ხარჯი	2,145	1,220
კომუნიკაციის ხარჯი	1,110	2,387
საბანკო ხარჯი	746	912
სხვა ხარჯი	111,701	110,852
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,412,778	1,435,196

14. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯი	2022	2021
სამეურნეო ხარჯი	4,562	4,171
საკანცელარიო ხარჯი	1,087	1,967
ფიზ. პირების მომსახურება	3,253	1,110
დაზღვევა	21,606	22,506
სემეკის მომსახურება	3,282	-
დასუფთავება	381	-
თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა	9,877	9,994
კომპიუტერის ხარჯები	158	388
საკონსულტაციო ხარჯები	13,401	13,463
ბურნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი	30	30
იურიდიული მომსახურება	24,007	24,752
საწვავის ხარჯი	12,564	17,057
სხვა საერთო ხარჯი	17,494	15,414
სულ სხვა ხარჯი	111,701	110,852

სხვა ხარჯები წარმოადგენს საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების შემადგენელ ნაწილს, რომელიც ძირითადად მოიცავს დაზღვევის, იურიდიული მომსახურების, საწვავის და სხვა საერთო ხარჯებს.

15. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შედგება კომპანიის მიერ მიღებულ სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან.

შპს ენერგო ინვესტმა 2020 წლის განმავლობაში აიღო მოკლევადიანი სესხი სს თიბისი ბანკისგან, ხოლო იქამდე არსებული გრძელვადიანი სესხის (31.12.2019 წელს დადებული) ხელშეკრულება განახლდა და სესხის თანხას დაემატა 171 ათასი ევრო, ცხრილის სახით იხილეთ სესხის შესახებ ინფორმაცია:

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	თანხა ორიგინალ ვალუტაში	საპროცენტო განაკვეთი	მიღების თარიღი	დასრულების თარიღი
სს თიბისი ბანკი	ევრო	1,540,979	6.4 % (6.2%)	31.12.2019	05.08.2034
სს თიბისი ბანკი	ევრო	253,313	6.2 %	07.08.2020	07.08.2025

2021 წლის ფინანსური ხარჯი შეადგენდა 428,192 ლარს.

შპს ენერგო ინვესტს 2022 წლის განმავლობაში დამატებით არ აუღია სესხი და არც მიმდინარე სესხების ხელშეკრულებები განახლებულა. ქვემოთ ცხრილის სახით იხილეთ კომპანიის მიერ აღებული სესხების შესახებ ინფორმაცია:

მსესხებლის დასახელება	ვალუტა	თანხა ორიგინალ ვალუტაში	საპროცენტო განაკვეთი	მიღების თარიღი	დასრულების თარიღი
სს თიბისი ბანკი	ევრო	1,540,979	6.4 % (6.2%)	31.12.2019	05.08.2034
სს თიბისი ბანკი	ევრო	253,313	6.2 %	07.08.2020	07.08.2025

2022 წლის ფინანსური ხარჯი შეადგენს 336,743 ლარს.

16. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	2022	2021
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	9,071
არაეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	75,979	105,778
განსაკუთრებული ხარჯები	-	159,079
სულ სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	75,979	273,928

სხვა ხარჯები წარმოადგენს არასაოპერაციო ხარჯების ერთობლიობას, რომელიც ძირითადად შედგება დაცვის მომსახურების ხარჯისაგან.

17. მოგება/ზარალი საკუროს სხვაობიდან

მოგება/ზარალი საკუროს სხვაობიდან	2022	2021
მოგება საკუროს ოპერაციებიდან	1,664,435	2,028,669
ზარალი საკუროს ოპერაციებიდან	(653,816)	(523,691)
წმინდა, მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან	1,010,619	1,504,979

18. მოგების გადასახადი

2017 ფინანსური წლის დასაწყისიდან მოხდა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადს და რომლის მიხედვითაც კომპანია ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მხოლოდ დივიდენდის გაცემის მომენტში (რამდენიმე გამონაკლისით), ფასს და საგადასახადო მიზნებით მიღებული მოგება შესაბამისად ამ ცვლილებების შემდეგ ერთმანეთს გაუტოლდება და გადავადებული გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს კომპანია მომავალში ვეღარ გამოიყენეს, შესაბამისად მოხდა მათი ელიმინაცია ანგარიშგებიდან.

19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გაზდეს

შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

20. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს „ენერგო ინვესტი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი

2021	აშშ დოლარი	ევრო	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	75,909	75,909
გადახდილი ავანსები	-	-	5,631	5,631
ფული და ფულის ექვივალენტები	-	326,803	44,639	371,441
სულ ფინანსური აქტივები	-	326,803	126,177	452,982
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	99,810	99,810
მიღებული ავანსები	-	-	-	-
მიღებული სესხები	-	6,061,282	-	6,061,282
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	6,061,282	99,810	6,161,093
წმინდა პოზიცია	-	(5,734,480)	26,367	(5,708,111)
2022	აშშ დოლარი	ევრო	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	72,532	72,532
გადახდილი ავანსები	-	-	8,981	8,981
ფული და ფულის ექვივალენტები	-	275,459	198,453	473,912
სულ ფინანსური აქტივები	-	275,459	207,433	555,425
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1,092	1,092
მიღებული ავანსები	-	-	-	-
მიღებული სესხები	-	4,586,494	-	4,586,494
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	4,586,494	1,092	4,587,586
წმინდა პოზიცია	-	(4,311,035)	206,341	(4,032,162)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 5) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს

შპს „ენერგო ინვესტი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი

გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

დეკემბერი 31, 2021

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	99,810	-	-	99,810
მიღებული ავანსები	-	-	-	-
მიღებული სესხები	722,825	5,338,457	-	6,061,282
სულ ფინანსური ვალდებულებები	822,636	5,338,457	-	6,161,093

დეკემბერი 31, 2022

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,092	-	-	1,092
მიღებული ავანსები	-	-	-	-
მიღებული სესხები	426,170	4,160,325	-	4,586,494
სულ ფინანსური ვალდებულებები	427,262	4,160,325	-	4,587,586

დეკემბერი 31, 2021

ფინანსური მოთხოვნები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	75,909	-	-	75,909
გადახდილი ავანსები	-	5,631	-	5,631
ფული და ფულის ექვივალენტები	371,441	-	-	371,441
სულ ფინანსური მოთხოვნები	447,350	5,631	-	452,981

დეკემბერი 31, 2022

ფინანსური მოთხოვნები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	72,532	-	-	72,532
გადახდილი ავანსები	-	8,981	-	8,981
ფული და ფულის ექვივალენტები	473,912	-	-	473,912
სულ ფინანსური მოთხოვნები	546,444	8,981	-	555,425

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

21. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31-დეკ-22		31-დეკ-21	
	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	72,532	72,532	75,909	75,909
გადახდილი ავანსები	8,981	8,981	5,631	5,631
ფული და ფულის ექვივალენტები	473,912	473,912	371,441	371,441
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,092	1,092	99,810	99,810
მიღებული სესხი	4,586,494	4,586,494	6,061,282	6,061,282
მიღებული ავანსები	-	-	-	-

22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შპს „ენერგო ინვესტი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

მენეჯმენტის ანაზღაურება:

მენეჯმენტის ანაზღაურება	2022	2021
ხელმძღვანელ პირებზე გაცემული ანაზღაურება	67,500	52,936
სულ	67,500	52,936

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან :

	2022	2022
	მმართველი პერსონალი (დირექტორი)	მმართველი პერსონალი (დირექტორი)
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (საიჯარო ქირა)	10,500	706

23. სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში იხილება ორი მიმდინარე დავა, რომელთა თანამონაწილედ არის შპს „ენერგო ინვესტი“, კერძოდ:

27.01.2020 წელს შპს ენერგო ინვესტმა ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების - საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ. კერძოდ, მოსარჩელემ, შპს „ენერგო ინვესტმა“, მოითხოვა, რომ:

1. ბათილად იქნას ცნობილი 2019 წლის 1 ივლისის, საქართველოს მთავრობას, სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს და შპს ენერგო ინვესტს შორის ავანი ჰესი ჰიდროელექტროსადგურის შესახებ 2015 წლის 31 მარტს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების მე-2, მე-3, მე-4 პუნქტები სრულად.
2. დაეკისროს საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგო ინვესტის“ სასარგებლოდ თანხის გადახდა.
3. შეეცირდეს შპს „ენერგო სისტემისთვის“ დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა დაეკისროს საქართველოს მთავრობას მოსარჩელის მიერ უკვე გადახდილი პირგასამტეხლოს შპს „ენერგო ინვესტის“ სასარგებლოდ გადახდა/უკან დაბრუნება (ევენტუალური სასარჩელო მოთხოვნა).
4. დაეკისროს საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგო ინვესტის“ სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურება.
5. დაეკისროს მოპასუხეს - საქართველოს მთავრობას მოსარჩელის - შპს „ენერგო ინვესტის“ სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 16.08.2021 წლის გადაწყვეტილებით მოსარჩელის - შპს „ენერგო ინვესტის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

მოსარჩელემ - შპს „ენერგო ინვესტმა“ 25.02.2022 წლის საპელაციო საჩივრით გაასაჩივრა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 16.08.2021 წლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა განცდილი მატერიალური მოპასუხისთვის - საქართველოს მთავრობისთვის დაკისრებაზე, ასევე, ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურებაზე.

აღნიშნული სასამართლო დავები საანგარიშგებო პერიოდში არის მიმდინარე, სასამართლოს არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. შედეგის განუსაზღვრელობიდან გამომდინარე კომპანიას ანარიცხები არ

შეუქმნია. კომპანიას აღიარებული აქვს ორივე დავის შესაბამისი ხარჯი და მხოლოდ დავის მის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში აღიარებს არასაოპერაციო შემოსავალს.

24. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას აქვს დადებითი EBITDA, ისევე როგორც წმინდა მოგება, კომპანია იმედოვნებს კიდევ უფრომ გაუმჯობესებას და დაგროვილი ზარალის ოდენობის შემცირებას. საერთო ჯამში კომპანიის გაყიდვები იზრდება და მას აქვს დადებითი ბიზნესის პერსპექტივები.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 აპრილს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

